



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ბს-132-123(კ-07)  
№8-გ.-2007

10 ივლისი, 2007 წელი  
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა  
შემადგენლობა:

კონსტანტინე კუბლაშვილი (თავმჯდომარე)  
მიხეილ გოგიშვილი  
მიხეილ ჩინჩალაძე  
ზაზა მეიშვილი  
მაია ვაჩაძე (მომხსენებელი)  
ნინო ქადაგიძე  
ნუგზარ სხირტლაძე  
ლალი ლაზარაშვილი  
მაია სულხანიშვილი

განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე  
კასატორი (მოპასუხე) – სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“  
წარმომადგენელი – დ. ბ.-ლი  
მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – შ. გ.-ია  
მესამე პირი – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა  
დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი  
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინება

სარჩელის საგანი – სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 10 სექტემბერს შ. გ.-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ მიმართ, ხოლო მესამე პირად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირზე მიუთითა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „...-ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლები გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ არ დათანხმდებოდნენ მათთვის შეთავაზებულ ერთთვიან ხელშეკრულებას, სამსახურიდან გათავისუფლდებოდნენ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მოსარჩელე აღნიშნულ შეთავაზებას არ დათანხმდა იმ მოტივით, რომ უვადო (განუსაზღვრელი ვადით) შრომითი პირობებიდან ვადიან კონტრაქტზე გადასვლა მუშაკის თანხმობის გარეშე იყო დაუშვებელი. აღნიშნულის გამო, სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შ. გ.-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ხსენებული ბრძანება დაეფუძნა „საქართველოში მაუწყებლობის რეგულირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის №236 განკარგულებას, რომელზე მითითებაც მოსარჩელემ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ ხსენებული განკარგულება ითვალისწინებდა მხოლოდ შესაბამისი კომისიის შექმნას, რომელიც მოამზადებდა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობაში“ განსახორციელებელ რეფორმას და მასში არ იყო მითითებული მუშაკთა გათავისუფლებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმ დროს, როდესაც 2004 წლის 7 აგვისტომდე საავადმყოფო ფურცელზე (ბიულეტენზე) იმყოფებოდა. ამასთან, მოსარჩელემ 2004 წლის 6 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ კადრების სამმართველოს უფროსს კუთვნილი შვებულების მოთხოვნით, რაზეც სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ კადრების სამმართველოს უფროსის 2004 წლის

12 აგვისტოს წერილით უარი ეთქვა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 66-ე მუხლზე მითითებით, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი 2004 წლის 7 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით საავადმყოფო ფურცელზე (ბიულეტენზე) იმყოფებოდა და რამდენჯერმე მიმართა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაციას კუთვნილი შვებულების მოთხოვნით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საწარმოო აუცილებლობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაციამ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან ხსენებულ მუხლში საუბარი იყო სხვა სამუშაოზე გადაყვანასა და შრომითი პირობების შეცვლაზე, მოცემულ შემთხვევაში კი არც სხვა სამუშაოზე გადაყვანა და არც სამუშაო პირობების შეცვლა სახეზე არ ყოფილა.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირს. ხსენებული პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, თავის მხრივ, წერილით მიმართა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაციას და კანონდარღვევით მიღებული სადავო ბრძანების ბათილად ცნობა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. გ.-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანება; შ. გ.-ია აღდგენილ იქნა საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....- ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდში მიუღებელი ხელფასი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენის დღემდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 თებერვლის განჩინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შ. გ.-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანება; შ. გ.-იას აუნაზღაურდა სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში მიუღებელი საშუალო ხელფასი – 1359,53 ლარი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე; შ. გ.-ია აღდგენილ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო პროგრამა „.....-ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის განჩინებით შ. გ.-იას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში; შ. გ.-ია დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო პროგრამა „.....-ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. გ.-ია 1971 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში, ხოლო 1996 წლის 15 თებერვალს განუსაზღვრელი ვადით დაინიშნა საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....-ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის №236 განკარგულებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, შეიქმნა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისია“, რომელსაც უნდა შეემუშაებინა შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ მართვის სრულყოფის, საკადრო ოპტიმიზაციისა და ინსტიტუციური და ფუნქციონალური რეფორმების

თაობაზე. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით საქტელერადიომაუწყებლობაში გამოცხადდა რეორგანიზაცია და კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაევალოთ შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით მუშაკთა ინფორმირება შრომის არსებითი პირობების მოსალოდნელი შეცვლის შესახებ. შ. გ.-ია ზემოაღნიშნულ ბრძანებას გაეცნო 2004 წლის 16 აპრილს. 2004 წლის 28 ივნისს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ კადრების სამმართველოს უფროსის წერილით შ. გ.-იას განემარტა, რომ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებაში მოხსენიებული შრომის არსებითი პირობები განსაზღვრული იყო თანდართული შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტი), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შ. გ.-ია არ იქნებოდა თანახმა შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე, ადმინისტრაცია მას შეუწყვეტდა შრომის ხელშეკრულებას საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 7 ივლისიდან 2004 წლის 6 აგვისტომდე შ. გ.-ია იმყოფებოდა შრომისუუნარობის ფურცელზე. 2004 წლის 10 აგვისტოს შ. გ.-იას კვლავ წარედგინა წერილი ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების თაობაზე, თანდართული შრომის ხელშეკრულებით, რომელთა გაცნობასა და ხელმოწერაზეც მან უარი განაცხადა, რის შესახებაც 2004 წლის 10 აგვისტოს საქტელერადიომაუწყებლობის კადრების სამმართველოს თანამშრომლებმა შეადგინეს ოქმი. 2004 წლის 11 აგვისტოს სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის №636-კ ბრძანებით შ. გ.-ია გათავისუფლდა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. საქტელერადიომაუწყებლობის კადრების სამმართველოს 2004 წლის 12 აგვისტოს №2196/02 წერილით შ. გ.-იას უარი ეთქვა ყოველწლიურ შვებულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით, დასაშვებია იყო შრომის არსებითი პირობების შეცვლა იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებისას. შრომის არსებითი პირობების – შრომის ანაზღაურების ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, არასრული სამუშაო დროის დაწესების ან გაუქმების, პროფესიების შეთავსების, თანრიგებისა და თანამდებობათა დასახელების შეცვლისა და სხვათა შესახებ მუშაკებისთვის უნდა ეცნობებინათ არა უგვიანეს ორი თვისა. იმავე მუხლის

მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადრინდელი შრომის არსებითი პირობების შენარჩუნება არ შეიძლებოდა, ხოლო მუშაკი თანახმა არ იქნებოდა ახალ პირობებში გაეგრძელებინა მუშაობა, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) შეწყდებოდა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობაში“ შრომის არსებითი პირობები 2004 წლის მარტიდან ნამდვილად შეიცვალა. შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი პირობა დაკმაყოფილდა და მეორე პირობაც – იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელება, შ. გ.-იასთან მიმართებაში ასევე დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეხამე პირობის მიხედვით, შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ მუშაკისთვის უნდა ეცნობებინათ არა უგვიანეს ორი თვისა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანება შეიცავდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და ამიტომ შ. გ.-იასთვის ხსენებული ბრძანების გაცნობა შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ მის ინფორმირებად უნდა ჩათვლილიყო. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანება შეიცავდა მხოლოდ დავალებას კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისადმი, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ პირებს უნდა მოეხდინათ მუშაკთა ინფორმირება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თითოეულ მუშაკთან დაკავშირებით შრომის კონკრეტული პირობების შეცვლის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული დავალება შ. გ.-იასთან მიმართებაში შესრულებულ იქნა 2004 წლის 28 ივნისსა და 10 აგვისტოს, როდესაც შ. გ.-იას წარედგინა კადრების სამმართველოს უფროსის წერილი ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების თაობაზე, თანდართული შრომის ხელშეკრულებით. ამდენად, შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ შ. გ.-იას ეცნობა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ორთვიანი ვადის დარღვევით, ვინაიდან შ. გ.-იას სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა 2004 წლის 11 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შრომის არსებითი პირობების ჩამონათვალი არ იყო ამომწურავი, თუმცა შ. გ.-იასთან მიმართებაში აპელანტმა ვერ მიუთითა მანამდე

არსებული შრომის რომელიმე პირობის შეცვლაზე, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასისა და შრომის ხელშეკრულების ვადისა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობის ხუთი ლარით შეცვლა წარმოადგენდა შრომის არსებითი პირობების შეცვლას, ხოლო შ. გ.-იასთან მიმართებაში შრომის არსებითი პირობების შეცვლა ფაქტობრივად მხოლოდ შრომის ხელშეკრულების ვადის შეცვლაში, კერძოდ, განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულებიდან ერთთვიან შრომის ხელშეკრულებაზე მის გადაყვანაში გამოიხატა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ორგვარ ფორმას ითვალისწინებდა: ა) ურთიერთობა, რომელიც გრძელდებოდა განუსაზღვრელი ვადით და ბ) ურთიერთობა განსაზღვრული ვადით. შესაბამისად, გასათვალისწინებელი იყო თითოეული ამ ფორმის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის განსხვავებული წესი. განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულებიდან განსაზღვრული ვადით დადებულ შრომის ხელშეკრულებაზე გადასვლა წარმოადგენდა არა შრომის არსებითი პირობების, არამედ დაწესებულებასა და მუშაკს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმის შეცვლას თანამდევი იურიდიული შედეგებით, რაც გაცილებით უფრო მეტად ცვლიდა მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, ვიდრე იმავე თანამდებობაზე შრომის არსებითი პირობების შეცვლა. უვადო შრომის ხელშეკრულებიდან ვადიან შრომის ხელშეკრულებაზე მუშაკის გადაყვანისას ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე შრომის არსებითი პირობების შეცვლისას. განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ვადიანი შრომის ხელშეკრულებით შეცვლა უვადო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას გულისხმობდა, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით. საწინააღმდეგოს დაშვება მუშაკებთან მიმართებაში ადმინისტრაციისათვის უსაზღვრო უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობას იძლეოდა, რაც შეიძლებოდა გამოხატულიყო კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით მუშაკთა გათავისუფლებაში, ჯერ უვადო შრომის ხელშეკრულების სიმბოლური ვადით დადებული შრომის ხელშეკრულებით შეცვლაში, ხოლო შემდეგ – აღნიშნული ხელშეკრულების განახლების ან არგანახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში, რაც ცალსახად ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ უვადო შრომის ხელშეკრულებით დაქირავებული მუშაკის ერთთვიან შრომის ხელშეკრულებაზე გადაყვანა შრომის სხვა

პირობების შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შრომის არსებითი პირობების შეცვლას წარმოადგენდა და, შესაბამისად, მუშაკის უარი ერთთვიანი შრომის ხელშეკრულების დადებაზე, იმავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, იყო მისი გათავისუფლების საფუძველი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიჩნეული იქნებოდა, რომ შ. გ.-იას უვადო შრომის ხელშეკრულებიდან ერთთვიან შრომის კონტრაქტზე გადაყვანით მოხდა მისი შრომის არსებითი პირობების შეცვლა, გასარკვევი იყო, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო დაწესებულების ადმინისტრაცია, მუშაკისთვის შრომის ასეთი განახლებული პირობები შეეთავაზებინა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებდა განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ორგვარ ფორმას: ა) განსაზღვრული ვადით არა უმეტეს სამი წლისა და ბ) გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ამ ორი ფორმის კანონმდებლის მიერ დაშვება მიუთითებდა იმაზე, რომ კანონმდებლის მიზანი იყო მუშაკთან დასადები შრომის ხელშეკრულების ვადის განსაზღვრისას ადმინისტრაციას გაეთვალისწინებინა შესასრულებელი სამუშაოს ბუნება. ის გარემოება, რომ შრომის კანონმდებლობით არ იყო დადგენილი ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტი) დადების მინიმალური ვადა, ადმინისტრაციას არ ანიჭებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობისათვის (რომელიც ძირითადად ხანგრძლივ სამართლებრივ ურთიერთობას გულისხმობდა) ხელშეკრულებით მუშაკისთვის განესაზღვრა ერთთვიანი ვადა, რამდენადაც კონტრაქტით დადგენილი ერთთვიანი ვადა შეიძლებოდა დაწესებულიყო გარკვეული სამუშაოს შესრულების მიზნით, მუშაკის დაქირავების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალი ერთთვიანი შრომის ხელშეკრულებით შ. გ.-იას უნდა გაეგრძელებინა საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....-ის“ მთავარი რეჟისორის საქმიანობა, რომელიც თავისი არსით ხანგრძლივ სამართლებრივ ურთიერთობებს გულისხმობდა და ერთი თვის ვადაში არ სრულდებოდა. ასეთ პირობებში ადმინისტრაციის მხრიდან ერთთვიანი შრომის კონტრაქტის შეთავაზება სათანადო და სამართლიან შეთავაზებად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობები იყო ბათილი, თუ ისინი ამ კოდექსთან შედარებით, აუარესებდა მუშაკის მდგომარეობას. ამდენად, შ. გ.-იას უარი ერთთვიანი შრომის ხელშეკრულების დადებაზე არ შეიძლებოდა გამხდარიყო შრომის კანონთა კოდექსის 26-ე



მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამსახურიდან მისი გათავისუფლების საფუძველი, მით უმეტეს, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი, მუშაკის უარის შემთხვევაში მის გათავისუფლებას მხოლოდ მაშინ ითვალისწინებდა, თუ აღრინდელი შრომის არსებითი პირობები არ შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო შეუძლებელი შ. გ.-იასთან აღრინდელ შრომის არსებით პირობებში მუშაობის გაგრძელება ან რატომ იყო აუცილებელი მუშაკთა ერთთვიან შრომის კონტრაქტებზე გადაყვანა, ისეთ ვითარებაში, როდესაც შესასრულებელი სამუშაოს ბუნება ერთი თვის ვადაში მის დასრულებას უმეტესწილად არ ითვალისწინებდა და აპელანტის განცხადებით, აღნიშნული კონტრაქტების ვადა არაერთხელ გაგრძელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანება გამოცემული იყო კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, როგორც მხარეთა განმარტებებით, ისე საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დაამტკიცა იმ თანამდებობის არსებობა, რომლიდანაც მოხდა მისი გათავისუფლება. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2006 წლის 22 ივნისს. 2006 წლის 30 მარტიდან 22 ივნისამდე აპელანტს, რომელმაც იცოდა, რომ მოსარჩელე ითხოვდა აღნიშნულ თანამდებობაზე აღდგენას, სრული შესაძლებლობა ჰქონდა, სასამართლოსათვის წარედგინა ამ თანამდებობის გაუქმების დამადასტურებელი მტკიცებულება. აპელანტმა ვერ დაასახელა პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ ბრძანების წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე და აპელანტმა ასეთი შუამდგომლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ნამდვილად დააყენა, სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობის განუხილველად დატოვების უფლება ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტის განცხადებით, საიფორმაციო პროგრამა „.....“ იმჟამადაც ფუნქციონირებდა და კვლავაც ხდებოდა ეთერში მისი გაშვების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, თუ არსებობდა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობრივი ფუნქციის ადეკვატური თანამდებობა, მიუხედავად ამ თანამდებობის სახელწოდების შეცვლისა, იგი გაუქმებულად ვერ ჩაითვლებოდა, მოცემული საქმის განხილვისას კი

მოსარჩელემ დაამტკიცა იმ თანამდებობის არსებობა, რომლიდანაც მოხდა მისი გათავისუფლება, ამასთან, საინფორმაციო პროგრამა „.....“ კვლავ ფუნქციონირებდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა შ. გ.-იას ხელფასის ოდენობა და აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლო შ. გ.-იას საშუალო ხელფასის განსაზღვრისას დაეყრდნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2005 წლის 28 მარტის №01-11/3204 წერილსა და სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ მიერ 2004 წლის 20 ოქტომბერს გაცემულ №3040/02 ცნობას, რომელშიც საშუალო ხელფასის ოდენობად მითითებული იყო 1359,53 ლარი. აღნიშნული დოკუმენტების ნამდვილობა კი აპელანტს სადავოდ არ გაუხდია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინება სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შრომის ხელშეკრულების ვადა არ წარმოადგენს შრომის არსებით პირობას და განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ვადიანი შრომის ხელშეკრულებით შეცვლა უვადო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას გულისხმობს. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულების ვადა თავისი ბუნებით შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენდა და მისი შეცვლა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის დეფინიციას შეესაბამებოდა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ თავადაც აღიარა, რომ აღნიშნულ ნაწილში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ იყო და შესაძლებელია ითვალისწინებდა შრომის სხვა პირობების შეცვლასაც. შ. გ.-იასთან მიმართებაში, შრომის ხელშეკრულების ვადასთან ერთად, ასევე შეიცვალა შრომის ანაზღაურების ოდენობაც, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ შ. გ.-იასთან მიმართებაში შრომის არსებითი პირობების შეცვლა მხოლოდ შრომის ხელშეკრულების ვადის შეცვლით გამოიხატა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზოგადად იმსჯელა ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვისა და იმის

შესახებ, რომ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ვადიანი შრომის ხელშეკრულებით შეცვლა უვადო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას გულისხმობდა და აღნიშნული არ წარმოადგენდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შრომის არსებითი პირობების შეცვლას. სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა კონკრეტული ნორმა, რის საფუძველზეც მივიდა იგი აღნიშნულ დასკვნამდე, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 285-ე მუხლი, ასევე არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი – შ. გ.-იას შესთავაზეს შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელება, რაზეც მან უარი განაცხადა, რაც იმავე ნაწილისა და აღნიშნული კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდა სამუშაოდან მისი გათავისუფლების საფუძველს.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შ. გ.-იას საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ ეცნობა ამ მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადის დარღვევით. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანების თაობაზე მოსარჩელეს ეცნობა იმავე წლის 16 აპრილს და, ამდენად, მისთვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაცია მას საკონტრაქტო ურთიერთობაზე გადასვლას სთავაზობდა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი განსაზღვრული იყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის გამოყენებისთვის აუცილებელი იყო რამდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ, ადრინდელი პირობების შენარჩუნების შეუძლებლობა და ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე მუშაკის უარი, რაც მოცემულ შემთხვევაში სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ მიერ დაცული იყო. ხსენებულ ორგანიზაციაში დაწყებული რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა საქტელერადიომაუწყებლობის გარდაქმნას, ითვალისწინებდა შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, როგორც საკადრო ოპტიმიზაციის, ისე მართვის სრულყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა საქტელერადიომაუწყებლობის თანამშრომელთა გადაყვანა საკონტრაქტო სისტემაზე (ურთიერთობაზე), რაც მიზნად ისახავდა საქტელერადიომაუწყებლობაში საწარმოო-შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას, ხოლო, ვინაიდან შ. გ.-იამ უარი განაცხადა შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე, აღნიშნული გარემოება დაედო საფუძველად სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანებას საქართველოს შრომის

კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს და მას არა აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის მიღების უფლებაც კანონით არ არის გათვალისწინებული. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო მუშაკთან ვადიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა. შესაბამისად, ერთთვიანი შრომის კონტრაქტის შეთავაზებით სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაცია მოქმედებდა აღნიშნული მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და იმავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, მისი ქმედება არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსს და ხსენებული შეთავაზება იყო სამართლიანი, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონტრაქტით დადგენილი ერთთვიანი ვადა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეიძლებოდა დაწესებულიყო მხოლოდ გარკვეული სამუშაოს შესრულების მიზნით, იყო უსაფუძვლო, რადგან კასატორის მოსაზრებით, ამით აზრი ეკარგებოდა იმავე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის არსებობას, რომელიც ადმინისტრაციას ანიჭებდა უფლებას, მუშაკთან გაეფორმებინა შრომის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით. ამასთან, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციის მხრიდან მუშაკისათვის შეთავაზებული ახალი შრომის არსებითი პირობებიდან შეიძლებოდა რომელიმე მათგანი არ ყოფილიყო მისაღები მუშაკისათვის, რის გამოც იგი არ ეთანხმებოდა მას. ამდენად, თვით ხსენებული ნორმა უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციას მუშაკისათვის შეეთავაზებინა ამ უკანასკნელისათვის არახელსაყრელი პირობები, თუმცა აღნიშნული ქმედება არ უნდა გასცდენოდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ფარგლებს, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა, ხოლო შ. გ.-ია სადავოდ არ ხდის თვითონ ხელშეკრულებას და ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ქმედებას.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა იმავე კოდექსის მე-18 მუხლი და 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი, შ. გ.-ია აღადგინა საინფორმაციო პროგრამა „.....ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე, მაშინ, როდესაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 30 მარტის №143-კ ბრძანებით გაუქმდა და აღარ არსებობდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული

და შტატი, სააპელაციო სასამართლომ კი, ხსენებული ბრძანების, როგორც მტკიცებულების, საქალაქო სასამართლოს მიერ არგაზიარება გაამართლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციით, რომელიც ამ სახით ჩამოყალიბდა 2006 წლის 7 ივლისის ცვლილებების შედეგად, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლო 2006 წლის 22 ივნისს გადაწყვეტილების მიღებისას ხსენებული ნაწილის ახალი რედაქციით ვერ იხელმძღვანელებდა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თუ არსებობდა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობრივი ფუნქციის ადეკვატური თანამდებობა, მიუხედავად ამ თანამდებობის სახელწოდების შეცვლისა, იგი გაუქმებულად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო. შ. გ.-იამ საქალაქო სასამართლოში საბოლოოდ მოითხოვა საინფორმაციო პროგრამა „...-ის“ მთავარი რეჟისორის და არა რომელიმე სხვა ადეკვატურ, ანუ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, რაც, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იყო დაუშვებელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ამის შედეგად მოსარჩელეს, ფაქტობრივად, მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

კასატორი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც მოითხოვდა შ. გ.-ია, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე და 207-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი და მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 248-ე მუხლი, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან, გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 21 თებერვლის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე

მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 25 აპრილამდე.

2007 წლის 9 მარტს სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე და აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი იყო დასაშვები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 აპრილის განჩინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ვინაიდან მოცემული საქმე მნიშვნელოვანი იყო სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №ბს-132-123(კ-07) განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას; საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში №ბს-132-123(კ-07) ადმინისტრაციული საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

დიდ პალატას დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე შ. გ.-ია მუშაობდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში“ საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....- ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე (ს.ფ. 27). „სსიპ საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ“ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით დადგინდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში“ რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) განხორციელება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ეცნობებინათ მუშაკებისათვის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით მოსალოდნელი შრომის არსებითი

პირობების შეცვლის შესახებ (ს.ფ. 17-18). შ. გ.-იას, სტრუქტურული ქვედანაყოფის – საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....-ის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად, გააცნეს „სსიპ საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ“ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანება, რაც დაადასტურა თავისი ხელმოწერით (ს.ფ. 34-35). შ. გ.-ია გააფრთხილეს, რომ შრომის არსებითი პირობების შეცვლის გამო, მას მოუხდებოდა მუშაობის გაგრძელება შრომის ახალ პირობებში და თუ არ დათანხმდებოდა მისთვის შეთავაზებულ ერთთვიან შრომის ხელშეკრულებას (კონტრაქტი) და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შრომის ახალ პირობებს, ადმინისტრაცია შეწყვეტდა მასთან შრომის ხელშეკრულებას და იგი სამსახურიდან გათავისუფლდებოდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ს.ფ. 28-31). მოსარჩელე აღნიშნულ შეთავაზებას არ დათანხმდა და უარი განაცხადა შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტი) ხელმოწერაზე (ს.ფ. 33), რის გამოც სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შ. გ.-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (ს.ფ. 5). სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2005 წლის 28 ოქტომბრის №442-კ ბრძანებით 2005 წლის 1 ნოემბრიდან დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტრუქტურა, რომელშიც შევიდა საინფორმაციო გამოშვებების ჯგუფი (ს.ფ. 111-122).

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივრის განხილვისას საერთოდ არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

დიდი პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან შ. გ.-იას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს

განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში შ. გ.-იასა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დაკავებული თანამდებობიდან შ. გ.-იას გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე.

დიდი პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც რეგლამენტირებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, კერძოდ, ხსენებული ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლის საფუძველზე, აღნიშნული აქტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.



დიდ პალატას მიაჩნია, რომ დაკავებული თანამდებობიდან შ. გ.-იას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის, გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა არ არის თავისი შინაარსის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავა.

დიდი პალატა მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავე კანონის მე-9 მუხლის (საქმიანობა) პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის (მართვა და წარმომადგენლობა) მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მე-12 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემადგენელი ის ქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან თანხმობას.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე – სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის

სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

დიდი პალატა მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-4<sup>1</sup> პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად) შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

დიდი პალატა დამატებით განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება

საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აქედან გამომდინარე, დიდი პალატა აღნიშნავს, რომ შ. გ.-ია მუშაობდა რა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში“ საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „.....- ის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე (ს.ფ. 27), არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ს.ფ. 5), რის გამოც ხსენებული ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

ამდენად, დიდ პალატას მიაჩნია, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 391<sup>1</sup>-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე

მუხლით, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი

მოსამართლეები:

მიხეილ გოგიშვილი

მიხეილ ჩინჩალაძე

ზაზა მეიშვილი

მაია ვაჩაძე

ნინო ქადაგიძე

ნუგზარ სხირტლაძე

ლალი ლაზარაშვილი

მაია სულხანიშვილი